

ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
პროფესორი ნათელა ფარტენაძე

„მარტივი წინადადების სწავლების  
მეთოდოლოგია (სახელმძღვანელოს  
სტრუქტურა და ანალიზი)“

# შესავალი

სინტაქსის სწავლება ეფექტიანია მაშინ, როდესაც თეორიული მასალა წარმოდგენილია როგორც ურთიერთდაკავშირებული სისტემა.

შესაბამისად, სწავლება ეფუძნება სტრუქტურულ მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს ენობრივი მოვლენების ურთიერთკავშირის დანახვას და მათ ფუნქციურ გააზრებას.

სახელმძღვანელო მოიცავს სინტაქსის ძირითად საკითხებს და მათი სწავლების მეთოდოლოგიურ ასპექტებს, რაც უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულ და გააზრებულ ათვისებას.

ამ ეტაპზე მხოლოდ მარტივი წინადადების სწავლების საკითხს განვიხილავთ.

# სახელმძღვანელოს სტრუქტურული პრინციპი

სახელმძღვანელოში თითოეული თემა აგებულია ერთიანი სტრუქტურული მოდელის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს მასალის თანმიმდევრულ, ლოგიკურად ორგანიზებულ და მეთოდურად გამჭვირვალე წარმოდგენას. თემათა ერთგვაროვანი აგება მიზნად ისახავს სტუდენტში ანალიზის სტაბილური მოდელის ჩამოყალიბებას, რაც ამარტივებს როგორც თეორიული მასალის გააზრებას, ასევე მის პრაქტიკულ გამოყენებას.

ყოველი თავი შედგება შემდეგი ბლოკებისაგან:

# მეთოდოლოგიური ორიენტირი

განსაზღვრავს არა მხოლოდ ცნებით საფუძველს, არამედ სწავლების ლოგიკასაც და პასუხობს ძირითად მეთოდურ კითხვებს:

- რა პრინციპს უნდა დაეფუძნოს საკითხის განმარტება;
- რა თანმიმდევრობით უნდა წარიმართოს თემის სწავლება;
- რომელი სტრუქტურული ელემენტი უნდა გახდეს საწყისი საყრდენი;
- როგორ უნდა განხორციელდეს გადასვლა ფორმოზრივ ალწერიდან ფუნქციურ ანალიზზე;
- როგორ უნდა გადაიზარდოს თეორიული გააზრება პრაქტიკულ გამოყენებაში.

# ტერმინოლოგიური გასაღებები

5

თემასთან დაკავშირებული საკვანძო ცნებები და მათი ზუსტი განსაზღვრებები. იგი ქმნის ცნებით საფუძველს, რომლის გარეშე შეუძლებელია შემდგომი ანალიზი.

ტერმინოლოგიური სიზუსტე განიხილება როგორც სინტაქსური აზროვნების აუცილებელი წინაპირობა.

# ◆ სტრუქტურული მოდელი

6

უზრუნველყოფს თემის თეორიული ბაზის სისტემურ და ვიზუალურ წარმოდგენას. იგი ასახავს ფორმოზრივ და ფუნქციურ ურთიერთობებს ერთიან სქემაში და ქმნის საკითხის მთლიან ხედვას.

## მისი მიზანია:


უზრუნველყოს თეორიული ჩარჩოს სწრაფი აღდგენა;  
გააერთიანოს უკვე ნასწავლი მასალა;  
თვალსაჩინოდ წარმოაჩინოს თემის ძირითადი კომპონენტები (თეორიული საფუძველი, აქტუალურობა, მიზანი, შედეგი);  
ხელი შეუწყოს თეორიის მეთოდურ გამოყენებას.

სტრუქტურული მოდელი წარმოადგენს თეორიისა და პრაქტიკის დამაკავშირებელ ინსტრუმენტს და აყალიბებს სისტემურ ხედვას.

## ♣♣ სადავო ინტერპრეტაციები

7

პრობლემური, არაერთმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც სხვადასხვა თეორიულ ინტერპრეტაციას იწვევს ან პრაქტიკაში სირთულეს ქმნის. ყურადღება გამახვილებულია ფორმისა და ფუნქციის გამიჯვნის კრიტერიუმებზე, დიფერენციაციის საფუძვლებსა და ანალიზის რთულ შემთხვევებზე.



## ✔ შეამოწმე შენი ცოდნა

8

თეორიის კონსოლიდაციის ეტაპი.

მისი მიზანია სტუდენტმა შეამოწმოს, რამდენად სწორად და გააზრებულად აითვისა თემის კონცეპტუალური საფუძველი.

# ⚙️ პრაქტიკული მოდული

თეორიული ცოდნის აქტივაცია და პრაქტიკული გამოყენება ხორციელდება ეტაპობრივად ორგანიზებული სავარჯიშოების სისტემით:

## 🔍 იდენტიფიკაცია

ენობრივ მასალაში შესაბამისი სინტაქსური მოვლენის ამოცნობა და დასაბუთება. ავითარებს ტერმინოლოგიურ სიზუსტესა და ფორმობრივი ნიშნების გარჩევის უნარს.

## ✿ სტრუქტურული გაშლა

წინადადების ან კონსტრუქციის ანალიტიკური დაშლა სინტაქსურ კომპონენტებად. ბლოკი წარმოადგენს ანალიზის ძირითად ეტაპს და აყალიბებს სტრუქტურული ხედვის უნარს.

## 📦 კონსტრუქციული ტრანსფორმაცია

კონსტრუქციის მიზანმიმართული გარდაქმნა (ფორმობრივი, ფუნქციური ან სტრუქტურული ცვლილება). ხელს უწყობს სინტაქსური მოქნილობისა და კონსტრუქციული აზროვნების განვითარებას.



# სასწავლო სიტუაციის ანალიზი

10

წარმოდგენილია:

- ტიპური სასწავლო შემთხვევები;
- მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი.

აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს:

- თეორიისა და პრაქტიკის ორგანულ კავშირს;
- ანალიზის ეტაპობრივ განვითარებას;
- ფორმისა და ფუნქციის სისტემურ გააზრებას;
- სტუდენტის შემეცნებითი აქტივობის გაძლიერებას;
- პედაგოგისთვის გაკვეთილის დაგეგმვის მკაფიო ჩარჩოს.



# გმადლობთ ყურადღებისთვის